უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

12/02/2026

MES 0 26 0000155420

გადაწყვეტილება

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი პუნქტის, 90-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 91-ე მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების, შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმს (ს/კ: 445434888) უარი ეთქვას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №155417 სხდომის ოქმის №1 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ, ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

ელექტრონული
ზეპირი